შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

(ფორმა 1)

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

საქმე №3/2647-20	ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"და გიგა ჩოხელი	ლეილა გოგიშვილის
	მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)	მოსამართლის სახელი და გვარი

მოპასუხე: *შენიშვნა-1*

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N8 (ყოფილი ჯიქიას ქ.)
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
2345370	
სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური	ფაქსი ელექტრონული ფოსტა

მოპასუხის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ. სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

ელენე კაპანაძე	595515353		
სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 22 73 1-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ~~ძრითადი~~ მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა *შენიშვნა-7*

ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐ *შენიშვნა-8*

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
მტკიცებულება მოცემულია სააგენტოს პოზიციაში
მტკიცებულება:

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ ☐ რომელი საფუძვლით?

არა ☒

შენიშვნა-19

მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

არ ვეთანხმებით მოსარჩელე მხარის სასარჩელო მოთხოვნას „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" სააგენტოს უფროსის 2019 წლის 6 ნოემბრის N188-04 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

არ ვეთანხმებით მოსარჩელე მხარის სასარჩელო მოთხოვნას ბათილად იქნეს ცნობილი „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" სააგენტოს უფროსის 2019 წლის 6 ნოემბრის N188-04 ბრძანება.

ვერ დავეთანხმებით მოსარჩელეს პოზიციას იმასთან დაკავშირებით რომ სადაო აქტი გამოიცა კანონის მოთხოვნების დარღვევით და მიგვაჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული ბრძანების ბათილობის სამართლებრივი საფუძველი.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს:

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების (შემდგომში N57 დადაგენილება) 37-ე მუხლი ადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემას სამ სტადიად: I სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება; II სტადია – არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება; III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა.

განვმარტავთ კონკრეტულად: 2019 წლის 9 აგვისტოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მომართა სააგენტოს №2-03/11076 წერილით (განცხადებით) (ასლი თან ერთვის)

და თანდართული დოკუმენტაციით, რომელიც ეხებოდა ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 53-ე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს პირობიანი მშენებლობის ნებართვის გაცემას.

აღნიშნული მუხლის საფუძველზე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მომართა სააგენტოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №2-03/14643 წერილით (განცხადებით) (ასლი თან ერთვის) რომელითაც მოთხოვნილი იქნა განხილულიყო ობიექტზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობა მიწის ნაკვეთზე ან/და ნაკვეთებზე საკუთრების ან სარგებლობის საკითხის მოგვარებამდე.

N57 დადგენილება ითვალისწინებს მშენებლობის ნებართვის ადმინისტრაციული წარმოებაში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების ჩართვას. მოცემულ შემთხვევაში სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. სამინისტროდან წარმოდგენილი იქნა ,,დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის №2-354 ბრძანება" (ასლი თან ერთვის).

ზემოაღნიშნული განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცა სააგენტოს უფროსის 2019 წლის 6 ნოემბრის №188-04 პირობიანი მშენებლობის ნებართვის ბრძანება ,,ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" (ასლი თან ერთვის).

განვმარტავთ შემდეგს 2019 წლის 9 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სააგენტოს მიმართა წერილით (განცხადებით) ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც დაიწყო მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნა ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვინაიდან, ზემოთმითითებული მუხლის თანახმად – ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამ მუხლის მე–2 ნაწილის მიხედვით კი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34–ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. 32–ე და 34–ე მუხლები კი შეეხება კოლეგიალურ ადმინისტრაციულ ორგანოს, სააგენტო კი ასეთ ორგანოს არ წარმოადგენს. არ არის დარღვეული ასევე, არც ადმინისტრაციული წარმოება ან ზემოაღნიშნული ნაწილის სხვა მოთხოვნებიც და შესაბამისად, ბათილად ცნობის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას და გიგა ჩოხელს უარი უნდა ეთქვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

'გარდა ამისა, უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნა ადმინისტრაციული კოდექსის მე–60 ერთი პრიმა მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ საფუძვლითაც, რომ ზემოთ მითითებული მუხლის თანახმად – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32–ე ან 34–ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. 32–ე და 34–ე მუხლები კი შეეხება კოლეგიალურ ადმინისტრაციულ ორგანოს, სააგენტო კი ასეთ ორგანოს არ წარმოადგენს. არ არის დარღვეული ასევე, არც ადმინისტრაციული წარმოება ან ზემოაღნიშნული ნაწილის სხვა მოთხოვნებიც და შესაბამისად, ბათილად ცნობის მოთხოვნა უსაფუძვლოა. ასევე, ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან, გამომდინარე ნათლად ჩანს რომ გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო ყველა ის გარემოება რომელიც კანონით დადგენილი წესით იქნა შესწავლილი და გამოკვლეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული სამართლებრივი დასაბუთებით მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი არ უნდა დაკმაყოფიდეს.

ასევე, არ ვეთანხმებით მოსარჩელე მხარის სასარჩელო მოთხოვნას იმასთან დაკავშირებით რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საჩივრის ავტორებისათვის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე გადაწყვეტილება მათვის ცნობილი დღემდე არ იქნა.

ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ საჩივრის თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ა/წ 15 ივნისის N1-1/217 ბრძანებით უარი ეთქვათ ა(ა) იპ - მწვანე ალტერნატივისა და გიგა ჩოხელის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე (ასლი თან ერთვის).

სამინისტროს მიერ დაცულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების გამოცემისას არ დარღვეულა მის მომზადებისა და გამოცემის წესები, აღნიშნული ბრძანებაში წარმოდგენილი დასაბუთება შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, შესაბამისად არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-27

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☒	

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ	☐	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	☒	

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☒	რადგან

შენიშვნა-30

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 შენიშვნა-32

დანართი 1. 2019 წლის 9 აგვისტოს №2-03/11076 წერილის დამოწმებული ასლი - 2 ფურცელი;
დანართი 2. 2019 წლის 28 ოქტომბრის №2-03/14643 წერილის დამოწმებული ასლი - 1 ფურცელი;
დანართი 3. სააგენტოს უფროსის 2019 წლის 6 ნოემბრის 188-04 ბრძანების დამოწმებული ასლი - 2 ფურცელი;
დანართი 4. 2019 წლის 25 აპრილის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის №2-354 ბრძანების დამოწმებული ასლი - 10 ფურცელი;
დანართი 5. 2020 წლის 25 ივნისის N1-1/217 ბრძანების ასლი -5 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 20 ფურცელი.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ	☐	
არა	☒	რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ	☐	
არა	☒	რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე — დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ	☐	
არა	☒	რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	გიორგი გეჯაძე	27/07/2020 წ.
ხელმოწერა	ხელმოწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.